



საპარტევლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ
14 ივლისი, შაბათი, 1990 წ.
№ 181 (10 800) • ფასი 8 კპპ.
გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვლადიმერ აფსიაურის „ბრინჯაო“

ლიტონი. მოფარევეთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის რაპიდისტ ვაჟთა



ნაკრები გუნდი, რომლის ლიდერებსაც იცავდნენ ალექსანდრე რომანკოვი, ვლადიმერ აფსიაური, სერგი გოლუბიცი და დიმიტრი შეჩენკო, სრულიად ობიექტურად, მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ერთ-ერთ ტურში იტალიელებთან დამარცხდა მინიმალური სხვაობით — 7:8. ამ საბედისწერო შედეგმა საბჭოთა ნაკრები მთავარი პრიზისათვის ბრძოლას გამომთიშა, თუმცა... მომდევნო წრეში მან სამხრეთ კორეის მოფარევეები დაამარცხა დიდი ანგარიშით — 9:1 და ნახევარფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. მაგრამ ნახევარფინალში ბრძოლა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მესამე ადგილზე გასვლის საშუალებას იძლეოდა, თუ, რა თქმა უნდა, გუნდი ამ ეტაპზე დაამარცხებდა მეტოქეს.
საბჭოთა ნაკრები მესამე საბრძოლო ადგილისთვის ბრძოლაში დასავლეთ გერმანიის გუნდს შეხვდა. საბჭოთა მოფარევეებმა ეს შეხვედრაც კარგად ჩაატარეს, მოიგეს ანგარიშით 9:4 და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ჩემპიონის სახელისთვის კი იტალიისა და პოლონეთის მოფარევეები იასპარეზებენ. დაშნით ფარეკობაში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა 21 წლის კებელი ტიმი ჩაპე, რომელიც ითქვას, რომ საქართველოს ქალთა ფინალში აჯობა მასზე ერთი წლით უმცროს უნგრელ დიანა ეორის (მარშან მან მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ჰქონდა იუნიორთა შორის).

სურათი: ვ. აფსიაური

მონაღარაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირის, რომელიც როსტოვის ოლქის ქალაქ აზოვსკში მიმდინარეობდა, ჩვენი ვახუშტი, შეძლებისდაგვარად, სისტემატურად აშუქებდა. მეორე ასეთივე ტურნირი, რომელიც კიდევ სამი პრეტენდენტი უნდა გამოავლინოს, კარგა ხანია დაიწყო მაღალიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურის შეზობლად მდებარე სამთო კურორტ გენტინგში. დაიწყო, მაგრამ პრესაში ერთი სიტყვაც არ დაწერილა ორთაბრძოლების მიმდინარეობის შესახებ.

მხოლოდ ის ვიცით, რომ ტურნირში იბრძვის 18 მოჭადრაკე ქალი, რომელთა შორის არის სამი ჩვენი თანამემამულე — ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ნინო გურიელი. გასაგებია, კუალა-ლუმპური არ არის არც პარიზი და არც ლონდონი და იქიდან ცნობები საჭიროდ ძუნწად მოდის. გასაგებია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ჯარაჯის ფედერაცია ნაკლებად დაინტერესებული (ყოველ შემთხვევაში სხვას ვერაფერს იფიქრებს კაცი), ამ ტურნირის შედეგებით და თავს არ იფუხებს კუალა-ლუმპურთან კავშირით, მაგრამ მრავალმილიონიან ჯარაჯის მოყვარულთა ინტერესების პერიოდულად დაკმაყოფილება, ვფიქრობთ არ იქნებოდა ძნელი, ოდნავი ყურადღება მაინც რომ გამოეჩინათ ცენტრში ამ გასაიდუმლოებული ტურნირისადმი.
არ იფიქროთ თითქოს საბჭოთა კავშირს არ ჰქონდეს მაღალიის დედაქალაქთან კონტაქტი და ამის

გამო ძნელი იყოს იქიდან ინფორმაციის მიღება. იმავე კუალა-ლუმპურში ტარდება კალათბურთულ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი და საკლესიო სისტემატურად გვაწყდის ცნობებს თითქმის ყველა მატჩის შესახებ. დარწმუნებული ვართ ამ ინფორმაციების მოშორებულს არ გაუჭირდებოდა თუნდაც ორი სიტყვა ეთქვა მოჭადრაკეთა ტურნირის შესახებ. არ გაუჭირდებოდა, ვილაც მაინც რომ იხრდეს შეჯიბრებისადმი ინტერესს.

12 ივნისს „იზვესტიამ“ დაბეჭდა ალექსანდრე რომალის პატარა ინფორმაცია მოჭადრაკე ქალთა ტურნირის შესახებ, ისიც იმით, რომ მანიალში ვაჟთა საზონათშორისო ტურნირზე მიმავალ საჭადრაკო მიმომხილველს ფილდინების ხელი-სუფლებამ დაუგვიანა ვიზის გაფორმება და იგი ორიოდე დღით დაყოვნდა კუალა-ლუმპურში. ასე, რომ მოჭადრაკე ქალთა ტურნირის შესახებ ამბავს პირველად სწორედ რომალის დახმარებით ვიგებთ. მაგრამ არც მისი ინფორმაციაა დაწვრილებითი, ამიტომ სატურნირო მდგომარეობის შესახებ კვლავ არაფერი ვიცით.

თუ რას წერს რომალი: „...გენტინგი საზონათშორისო წრითლი ტურნირის 18 მონაწილეს, მასპინძლობს. კენქისყრით, რომელიც კომპიუტერმა ჩაატარა, მონაწილენი პირობითად სამ ჯგუფად დაიყო, ოღონდ ისე, რომ დასაწყისში ერთმანეთს თანამემამულეები უნდა შეხვედრებოდნენ.
ეს შინაბრძოლა საბჭოთა მოჭადრაკეების ექვსეულიდან ყველაზე

უკეთ ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. გურიელმა გაიარეს. ახლა იწყება შეხვედრები უკონტინენტურ-მოჭადრაკე, პირველ კოლონის, მოჭადრაკე ა. ანაბრუშოვისა (ანაბრუშოვი) და ტ. რენსიკის (შევიცარამ) კარგა შთაბეჭდილებას სტაფეტის აგრეთვე, ახალგაზრდა ჩინელი სიჭუნის. სულ მაღალიის შეჯიბრებაში გათამაშდება პრეტენდენტთა ტურნირის სამი საგზური...
სამწუხაროდ, სხვა ინფორმაციას ალექსანდრე რომალი არ იძლევა.

ფავორიტთა პირველი წარმატება

კუალა-ლუმპური. მაღალიის ოთხ ქალაქში დაიწყო კალათბურთულ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები. საერთო ყურადღების ცენტრში არიან მესამე და მეოთხე ჯგუფებში გაერთიანებული გუნდები, ვინაიდან აქ გამოდიან მთავარი ფავორიტები — მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი აშშ და მისი მუდმივი მეტოქე სსრ კავშირის ნაკრები.
ფავორიტებმა პირველი გამარჯვებები მოიპოვეს: საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს იაპონიის გუნდი — 103:79 (ამ ჯგუფში გამოდიან, აგრეთვე, ბრაზილიისა და კანადის კოლექტივები), ამერიკელებმა კი სენეგალის ნაკრებს მოუხვეს — 106:36 (აქ, ამ ორი გუნდის გარდა, იბრძვიან ჩეხეთ-სლოვაკიისა და სამხრეთ კორეის კალათბურთელები).

გამოხმაურება წერილზე: „პარდუბიცას „სტიპლ-ჩეისი“ და ჩვენი მხედრები, რატომაც არა!“

ვიჩქაროთ, დრო არ ითმენს!

„ლელო“ 30 ივნისს წინადადებით მოგვემართა გამოგვეთქვა აზრი ჩვენი ცხენოსნების ქ. პარდუბიცაში მე-100 საიუბილეო „სტიპლ-ჩეისი“ მონაწილეობის მიღების თაობაზე.

უნდა გაცნობოთ, რომ სამიოდე წელია, რაც ჩვენი მხედრების გამოსვლებსა და მათ მონაწილეობას ვაკვირდები საცხენოსნო სპორტის ისეთ რთულ და უღამაზეს სახეობაში, როგორც „სტიპლ-ჩეისი“. სასიხარულოა, რომ მათი გამარჯვებების მოწმენი გავხდით თბილისში, კიევისა და კრასნოდარში გამართულ საკავშირო შეჯიბრებებზე. ქართველმა მხედრებმა ტოლი არ დაუდეს ისეთ გამოცდილ ოსტატებს, როგორებიც არიან: ვ. ხუდევრი, მ. ტოკოვი, ა. ტატარჩენკო და სხვები. მაგრამ დასაზნანი ყოველთვის ის

იყო, რომ ჩვენი მხედრები მუდამ საკავშირო ნაკრების მიღმა რჩებოდნენ და მხოლოდ ტელევიზორის საშუალებით ადევნებდნენ თვალს პარდუბიცის „სტიპლ-ჩეისს“.

და აი, ახლა ალბათ მოგვეცა საშუალება, ჩვენმა მხედრებმა დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა პარდუბიცის პოპულარულ „სტიპლ-ჩეისში“, მით უმეტეს, ეს ღონისძიება საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით არ ტარდება.

შესანიშნავი წინადადებაა, მონაწილეობა აუცილებელია! გადაუდებლად მიმართა, რესპუბლიკის საცხენოსნო კლუბებში შეირჩეს ცხენთა და მხედართა შემადგენლობა, მოეწყოს შეკრება თბილისის იაოდროზე. ზაზა გონჯილაშვილი, ვალერი შელია, ვიქტორ გოგლიძე, ოთარ კოტუა — ეს ის

მხედრები არიან, რომლებიც თბილისის იაოდრომის ტრასებზე ჩამოყალიბდნენ უკვე ცნობილ „სტიპლ-ჩეისებ“.

იმედია, ღონისძიებას სპონსორებიც გამოუჩნდებიან. შეიქმნება მწვრთნელთა ჯგუფი და საორგანიზაციო კომიტეტი. ჩატარდება ეტაპობრივი ასპარეზობანი ნაკრების წევრთა შესარჩევად.

ღრო ცოტა რჩება. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის არმიის ცხენოსანთა ცენტრალური კლუბის გუნდი უკვე დიდი ხანია ამზადებს მხედრებს პარდუბიცის საიუბილეო „სტიპლ-ჩეისში“ მონაწილეობის მისაღებად.

ვიჩქაროთ, რათა ეს შესანიშნავი საშუალება გამოვიყენოთ.
მ. შატოვილი,
თბილისის იაოდრომის დირექტორი.

ახლა ჯიუ-ჯიუს... ჯიუსუს...

ჯიუ-ჯიუს 30 ინსტრუქტორი და 50-ზე მეტი სპორტსმენი, მოამზადა ჩვენში ამ ნაკლებად პოპულარული სახეობის პოლონელმა სპეციალისტმა იოზეფ ლეშნიცკიმ ამას წინათ თბილისში გამართული სემინარებისა და ერთობლივი საწვრთნელი მეცადინეობების დროს. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჯიუ-ჯიუს ფედერაცია, რომელიც ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციასთან არსებობს, ერთადერთია საბჭოთა კავშირში. იგი ახლახან შეიქმნა, მაგრამ მანამდე თბილისში უკვე მოეწყო პოლონელ სპორტსმენტთა საჩვენებელი გამოსვლები. ეს შარშან იყო. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ქართველი სპორტსმენებისა და შავი ქაშის მეორე დანის მფლობელების, 29 წლის იოზეფ ლეშნიცკის მეგობრობას. შემდეგ ურთიერთობები თანდათან განმტკიცდა. პოლონეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ქართველ სპორტსმენს ლევან ასკურავას შავი ქაშარიპირველი დანი მიეკუთვნა.

ჯიუ-ჯიუს დღეს ჩვენი რესპუბლიკის ექვს ქალაქშია დანერგული. ამ სახეობის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ავთანდილ მიქაძემ გვაცხობა, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე შეიძლება ჯიუ-ჯიუსს ქართველ და პოლონელ ოსტატთა ამახანაგური შეხვედრებიც მოეწყოს.



„მაროს სანდონი-90“ — ახეთი ეყო ოფიციალური სახელწოდება ავტორაბლისა, რომელიც ამ დღეებში პირველად ჩატარდა თბილისში. ახსპარეზობის ორგანიზატორი გახ-



ლდათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და უნივერსიტეტთან არსებული ხაინფინო ჯგუფი „არგონავტი“.



შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, სოკის, ნაღრიცხისა და პენის 25 მრბოლი მონაწილეობდა. (საქინფორმის ფოტოკორონია)

შედეგები - პირიქდი

პარიზი. „ტურ დე ფრანსის“ შარშანდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა გრეგ ლემონდმა წლებადლო სეზონის ცუდად დაიწყო — ფაქტობრივად ვერც ერთ საერთაშორისო ველორბოლაში ვერ გამოიჩინა თავი. სპეციალისტების აზრით, მისი მზე უკვე ჩაესვენა, თუმცა თავად ლემონდი სხვაგვარად ფიქრობს, მწვრთნელი კი დარწმუნებულია, რომ სპორტული ფორმის მწვერვალს ველოსპედლისტი სწორედ „ტურ დე ფრანსის“ დღეებში მიაღწევს.

პირველი სერიოზული გამოცდის ჩაბარება ამერიკელ ველოსპედლისტს მეტორმეტე ეტაპზე მოუხდა. რიგრიგით სტარტით 33,5 კილომეტრითან რბოლაში პირველი ადგილი წილად ხვდა ცნობილ პოლანდიელ ველოსპედლისტს ერიკ ბრეუკონს — 56,52. მეორე შედეგი აჩვენა შარშანწინდელი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულმა, ესპანელმა პედრო დელგადომ. ლემონდი მეხუთე ადგილზე გავიდა.

თორმეტი ეტაპის შემდეგ ყვითელი მასური იტალიელმა კლაუდიო ჩაპუჩიმ ჩაიბარა, ადრინდელმა ლიდერმა ფრანგმა რონან პანსეკმა კი მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ლემონდი ნელ-ნელა დაეწია ლიდერებს და ამჟამად მეოთხე ადგილზე იმყოფება, თუმცა ჩაპუჩის ჯერ კიდევ კარგა გავრიანად ჩამორჩება — 7,27 წუთით. მეხუთე ადგილზეა დელგადო (სხვაობა ლიდერთან — 9,02 წუთი).

გადავიხდით იქვე, რაღვინც ჩვენს საქმეს დასძირდა

საპარტიო სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ცენტრალური საბჭო მშრომელთა განმარტების განმარტებისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და განიხილავს მას, როგორც პროგრამა „განმარტების“ ღონისძიებათა კომპლექსის შემადგენელ ნაწილს.

დარგის შრომითი კოლექტივების მეთვრამეტეწიანი საშუალებას არ იძლევა დავევათ ფიზიკურ სპორტის მეთოდის საშუალო ერთეულს. შარშან დარგის „დინამოში“ მხოლოდ 1,5 საშუალო ერთეული იყო, ამჟამად 0,5-ია, ხოლო 1 საშუალო ერთეული, რომელიც უმაღლეს სასამართლოს კოლექტივში იყო, წლებიდან წლის დასაწყისში აღემატებოდა. მატერიალურ-ტექნიკური პაზების მხრივაც არასახარბიელო მდგომარეობაა. ეს მიზეზები, ცხადია, განაპირობებს შრომით კოლექტივებში ფიზიკურ-სპორტულ მუშაკთა მუშაობის დაბალ დონეს, და, ძირითადად, იგი ცალკეულ ერთეულებსა და მონდობებსა და აქტივობებსა და მოკიდებულა.

რესპუბლიკური კომიტეტის (ამჟამად ცენტრალური საბჭოს) აქცენ-

ტი გადატანილი აქვს ფიზიკურ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სამედიცინო ოთახების, ფიზიკოთერაპიის ოთახების შექმნაზე, სპორტული ტრენაჟორებითა და სხვა სპორტინვენტარით მათ აღჭურვაზე. ასეთი კაბინეტები მოქმედებს ფინანსთა სამინისტროში, მთავარ საარქივო სამმართველოში, სახმომარაგების კომიტეტისა და უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს ობიექტებზე.

დამთავრების სტადიაშია გაერთიანება „საქინტურისტების“ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ორხეივანში. შექმნილი ბანკების რესპუბლიკურმა გამგებამ ლანჩხუთში დააფინანსა საცურაო აუზის მშენებლობა (100 ათასი მანეთი).

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ადმინისტრაციის შენობაში მთავრდება შრომის, ომის ვეტერანებისა და ინვალიდებისათვის დასვენება-გამაჯანსაღებელი კულტურული კერის მშენებლობა, რომლის დასაფინანსებლად 30 ათასი მანეთი გამოვყავით.

დარგის პროფკავშირის წევრები ძირითადად ასაკოვანი აღამაინები არიან. ტარდება შეჯიბრებები ჯადრაკში, შაშში, მინიფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. გა-

ნაკეთობით პოპულარულია სპორტული შეჯიბრებები და ტურნირები, ქალთა სპარტაკიადი. ეს ღონისძიებები ყოველწლიურად ტარდება და მასში ძირითადად ქ. თბილისისა და რუსთავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკები მონაწილეობენ.

პროფკომიტეტებთან ამჟამად მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებისათვის 11 მოზარდთა კლუბია გახსნილი სპორტული სექციებითა და წრეებით. ამ კლუბების პირველი სპარტაკიადი წელს ჩატარდება.

არის ნაკლოვანებები და პრობლემებიც. შრომითი კოლექტივებში მონაწილეს ფიზიკურ-სპორტული და სპორტით დაინტერესება. აუთვისებელი რჩება პროფილაქტიკით გათვალისწინებული ნიშნები. ამის მიზეზი ისიცაა, რომ სპორტული ინვენტარის გადარიცხვით შექმნა შეზღუდვა.

დაგეგმილია „დინამოს“ სპორტკომპლექსის ბაზაზე მშრომელთა ფიზიკურ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზება („დინამოს“ საბჭო დარგის პროფკავშირის მომსახურებაში).

რაც შეეხება დიდ სპორტს და მასობრივ სპორტს, დარგის პროფკავშირის წევრთა სპეციფიკიდან გამომდინარე, ვეჭვობთ, ამ მიმართებით ეფექტური შედეგები მო-

ვიპოვოთ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღისათვის სპორტის ტექნიკური სახეობების დაწინაურება ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ბავშვთა და მოზარდთა კლუბებში. ამ კლუბებს პროფილაქტიკური ყოველწლიურად 60-70 ათასი მანეთი გამოეყოფა და, იმედია, სპორტის ტექნიკური სახეობებში დიდი სპორტისათვის მომავალში მაღალი კლასის სპორტმენები მომზადდებიან.

ვფიქრობთ კვლავ გავაგრძელოთ და განვაძლიეროთ სპორტსაზოგადოება „შეჯიბრებებთან“ თანამშრომლობა. განზრახულია, სადაც ეს შესაძლებელია, წარმოება-დაწესება ბუღალტრული მუშაკთა კოლექტივების მსხვილ სპორტულ კოლექტივებად გაერთიანება და სამეურნეო ორგანიზაციებთან შეთანხმებით ფიზიკურ-სპორტული მეთოდის საშუალო ერთეულების დაფინანსება. საჭიროდ მიგვაჩნია, „შეჯიბრებებთან“ ხელშეკრულების საფუძველზე მკვიდრად რომ ითანამშრომლოს დარგის პროფკავშირის ცენტრალურმა საბჭომ.

გულახდილად უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ საქართველოს პროფსაბჭოს ანგარიშზე ყოველწლიურად დარგის პროფკავშირის ბიუ-

ჯეტადან გადარიცხული თანხების თითქმის ნახევარი „შეჯიბრებებთან“ ხმარდებოდა და ეს თანხა ყოველწლიურად თითქმის 150 ათას მანეთს შეადგენდა. სანაცვლო უკუგებას კი დღემდე ვერ ვხედავთ. მეტიც, ნებისმიერი ტურნირისა თუ სპარტაკიადის ორგანიზაცია-ჩატარებისათვის ყოველთვის ცალკე ვიხილეთ სპორტული ბაზების იჯარას, მსაჯების მომსახურების საზღაურს.

„შეჯიბრებებთან“ მომავალში გამოვეყოფთ თანხებს ჩვენს მიერ დაგეგმილი ნებისმიერი, კონკრეტული სპორტული ღონისძიების ჩასატარებლად, სპორტული ბაზების იჯარის, მსაჯთა და სპორტის სხვა სპეციალისტთა მომსახურებისათვის.

ამისთანავე, წარმოება-დაწესებულებების სამეურნეო ხელმძღვანელობის ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ მშრომელთა გამაჯანსაღების პრობლემა სამეურნეო ორგანიზების გადსაწყვეტი ამოცანაც არის, თუმცა ისინი გარკვეულად შეზღუდვები არიან, რადგანაც საბიუჯეტო ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

ბ. ლაშაშვილი,
ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

წოდარ ჯანაშიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა ბრძალონი

ბრძალონი მეოცე საუკუნის სპორტის უწოდებენ. შესაძლოა, იგი მართლაც იმდროინდელია, რომ დასავლეთში კარგი ცხოვრებით „გაზულუქებული“ ხალხისთვის საკუთარი ადამიანური ზნეების, კომფორტით შესუსტებული თვისებები — სიმტკიცისა და მოთმინების უნარი — შეეხებოდა (ჩვენთვის კი ამის გარანტია საბჭოთა სინამდვილეა). ტრიატლონი მართლაც უდიდეს მორალურსა და ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს თითოეული მონაწილისათვის: „კლასიკური“ შეჯიბრებაში მან უნდა გატაროს 4 კილომეტრი, ველოსიპედით გაიაროს 180 კილომეტრი და გაიაროს 195 მ).


მუდამ ახალი, საინტერესო წინადადებებით და ტრიატლონის ჩატარებაც მისი ერთ-ერთი მიზანი გახლდათ. წოდარის სიცოცხლეშივე მოესწრო ერთი ასპარეზობის გამართვა, ახლანდელი შეჯიბრებები, როგორც ვთქვით, მის სახელს ატარებდა.

შეჯიბრებაზე ყველაფერი კარგად

ნაკვეთი „გათავისუფლა“. ამიტომ სპორტსმენებს, უკვე 2 პირობითი წრე (2,5+2,5+2,5 კმ) უნდა შემოეყოფოთ. ეს სახელე კი შეჯიბრების მონაწილეებს სტარტის წინ რაოდენად და დეტალურად არ აუხსნეს, რამაც გამოიწვია გაუგებრობა მონაწილეებსა და მათ ქომაგებს შორის, რომელთა რაოდენ-

ლომეტრზე ანაწილებდა თავის ძალას, რბენა გააგრძელა და ორი წრე ირბინა. ატყდა ხანგრძლივი, მწვავე კამათი, ვის უნდა რგებოდა გამარჯვება. აქვე იმას ვიფიქრებთ, რომ ეს მხოლოდ ორი ადამიანული სპორტსმენის შეხებოდა, რადგან სხვები საგარეო მხრიდან ჩამორჩნენ მათ (თ. ბიჩელაშვილის გარდა, ყველა ირბინა 10 კმ).

ბოლოს, დიდი ბუკების შემდეგ დაასკვნეს, რომ იმ გაუგებრობაში სპორტსმენებს ბრალი არ მიუძღოდათ და ორივეს მიანიჭეს გამარჯვება. ამრიგად, მეოთხე მექანიზებული სამმართველოს მეამწე თემურ ბიჩელაშვილი და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკულ-სპორტის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი — ირაკლი ბერიაშვილი, ტრიატლონის საქალაქო პირველობის გამარჯვებულები გახდნენ. ი. ბერიაშვილი ფიზიკულ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „ლელოს“ წევრია და ამ წარმატებისთვის მან კომპლექსისათვის 500 მანეთი ჯილდოდ მიიღო. მესამე დევილზე გავიდა ფიზიკოსი მამუკა გომარტელი (რბენის მოყვარულთა რესპუბლიკური ასოციაცია). სამივე მიიღეს თბილისის სპორტკომიტეტის მიერ დაწესებულ ჯილდოები — ველოსიპედები. იქვე ითქვა, რომ მეტოქეებს „ურთიერთობის გასარკვევად“ კიდევ მიეცემა საშუალება — სექტემბერში საქართველოს ჩემპიონატის წინ კიდევ მოეწყობა ასეთი საქალაქო პირველობა.



იქნებოდა, მსაჯს შეეცდომა რომ არ მოსვლოდა. ვლადიმერ ძეგნიანური ველოსპორტის გამოცდილი სპეციალისტია, ოღონდ ამ ახალ სახეობაში, — ტრიატლონი, სადაც ვ. ძეგნიანური მთავარი მსაჯი გახლდათ, მან ყველა ნიუანსი ვერ გაითვალისწინა. ნაწილობრივ ეს იმის ბრალიც იყო, რომ თბილისის ზღვაზე იმ დროს რალიც ტარდებოდა და ტრიატლონის ორგანიზატორები იძულებულნი იყვნენ, კორექტივები შეეტანათ ადრე გამოცხადებულ დებულებაში. მაგალითად, ბოლო სახეობაში, დებულების თანახმად, მონაწილეებს ერთი პირობითი წრე — 10 კილომეტრი (5+5 კმ) უნდა გაეირბინათ, მაგრამ რალის გამო ავტონისპექციამ, რომელიც მეტად ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ერთბაშად ორი შეჯიბრების უსაფრთხოების დაცვის გამო, მათთვის მხოლოდ 2,5 კმ სიგრძის მონ-

ობა სპორტსმენებს სულ ცოტა 10-ჯერ აჭარბებდა; სპორტსმენებმა წარმატებით გატარეს დაახლოებით 600 მეტრი და ველოსიპედებს მოასხდნენ, მაგრამ ერთ-ერთს ეს „ორთვლიანი მანქანა“ დაუზიანდა. ველოგრაბის შემდეგ, რომლის სიგრძე დაახლოებით 40 კილომეტრი იყო, დაწინაურდა თემურ ბიჩელაშვილი, ოღონდ მისი მდგომარეობა მთლად საიმედო ვერ იყო; მას დაახლოებით 2,5 წუთის ინტერვალით უკან მისდევდა ირაკლი ბერიაშვილი, რომელიც მძლეოსანი, და იგი აშკარად ბოლო 15 კილომეტრზე აპირებდა დანაკარგს ანაზღაურებას. მანძილი ლიდერსა და მის მდევარს შორის თანდათან მცირდებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა ის გაუგებრობა: თ. ბიჩელაშვილი 5 კილომეტრის გარბენის შემდეგ შეჩერდა, — „ჩვენ ხომ გვითხრეს, ერთი წრე უნდა გვეირბინათ“. ი. ბერიაშვილმა კი, რომელიც ათ კი-

ლომეტრზე ანაწილებდა თავის ძალას, რბენა გააგრძელა და ორი წრე ირბინა. ატყდა ხანგრძლივი, მწვავე კამათი, ვის უნდა რგებოდა გამარჯვება. აქვე იმას ვიფიქრებთ, რომ ეს მხოლოდ ორი ადამიანული სპორტსმენის შეხებოდა, რადგან სხვები საგარეო მხრიდან ჩამორჩნენ მათ (თ. ბიჩელაშვილის გარდა, ყველა ირბინა 10 კმ).

ბოლოს, დიდი ბუკების შემდეგ დაასკვნეს, რომ იმ გაუგებრობაში სპორტსმენებს ბრალი არ მიუძღოდათ და ორივეს მიანიჭეს გამარჯვება. ამრიგად, მეოთხე მექანიზებული სამმართველოს მეამწე თემურ ბიჩელაშვილი და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკულ-სპორტის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი — ირაკლი ბერიაშვილი, ტრიატლონის საქალაქო პირველობის გამარჯვებულები გახდნენ. ი. ბერიაშვილი ფიზიკულ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „ლელოს“ წევრია და ამ წარმატებისთვის მან კომპლექსისათვის 500 მანეთი ჯილდოდ მიიღო. მესამე დევილზე გავიდა ფიზიკოსი მამუკა გომარტელი (რბენის მოყვარულთა რესპუბლიკური ასოციაცია). სამივე მიიღეს თბილისის სპორტკომიტეტის მიერ დაწესებულ ჯილდოები — ველოსიპედები. იქვე ითქვა, რომ მეტოქეებს „ურთიერთობის გასარკვევად“ კიდევ მიეცემა საშუალება — სექტემბერში საქართველოს ჩემპიონატის წინ კიდევ მოეწყობა ასეთი საქალაქო პირველობა.

დააჯილდოვებს დანარჩენი მონაწილეებიც, რომლებმაც ასევე ვაქციატურად დასძლიეს ეს ურთულესი დისტანცია. მომდევნო დევილზე გავიდნენ: ოლეგ ხარაზიშვილი, გურამ ლომთაძე და ნუკრი ვალიშვილი (სამივე — რბენის მოყვარულთა ასოციაცია).

ნებსრების დაპირებები

ბაიმართა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მორიგი ხსენება, რომელმაც განიხილა საქართველოს ჩემპიონატის მიმდინარე საკითხები და მიიღო დისციპლინარული ღონისძიებები.

„აკადემია“ — „სტუ“-ს მატჩის დროს, „სტუ“-ს მოთამაშე გ. ფერაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენა მსაჯს. იგი დისციპლინარულად 2 წლით, გუნდი კი დაჯარიმდა 1000 მანეთით.

ამავე შეხვედრაში „აკადემიის“ კლუბის საპირფარეო წევრმა გ. მოდებაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენა მსაჯს, რის გამოც კლუბი 300 მანეთით დაჯარიმდა. მხატვართა გუნდს კიდევ 300-300 მანეთის გადახდა მოუწევს „მიმინოსთან“ თამაშის დროს ზ. მოდებაძის მოედნიდან გაძევებისა და მ. ბესელაის ბილწისიტყვაობისთვის („აკადემია“ — „შეჯიბრებები“).

თბილისის გუნდების „მიმინოსა“ და „შეჯიბრების“ შეხვედრისას „მიმინოს“ მოთამაშეებმა ეცვათ სხვადასხვანაირი სასაპარეო ფორმა. ამისათვის გუნდი გადაიხდის 500 მანეთს. თავის მხრივ, „შეჯიბრებებთან“ ვერ უზრუნველყო მოედნის მომზადება „სტუ“-სთან თამაშისას (1 აპრილი), რის გამოც იგი 1000 მანეთით დაჯარიმდა.

„ასოციაციისთან“ — ორ შეხვედრაში (28 აპრილი და 5 მაისი) თბილისის „ელმავლის“ ორი მოთამაშე მ. მარჩანიშვილი და ზ. ბაკურაძე გააძევეს მოედნიდან. ამავე თამაშების დროს რიანთველებს არ ეცვათ ერთნაირი ფორმა. ამ დარღვევებისათვის „ელმავლის“ საჯარიმო თანხამ 2000 მანეთს მიიღწია.

ჯარიმების გადახდის ვალა 15 აგვისტომდეა გადაუხდელობის შემთხვევაში გუნდები არ დაიშვებიან მომდევნო თამაშებზე.

საქართველოს რაგბის კავშირმა შეადგინა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის გამორთვებული მატჩების განრიგი: 25.08. „მიმინო“ — „აია“; 29.08. „ელმავალი“ — „გელათი“; 3.09. „ელმავალი“ — „სათაფლი“; 4.09. „ელმავალი“ — „ზოთვეტი“; „აია“ — „შეჯიბრები“; 6.09. „ელმავალი“ — „უნებერსიტეტი“; 9.09. „სტუ“ — „აია“; „სათაფლი“ — „ზოთვეტი“; 10.09. „აკადემია“ — „აია“.

სპორტულუც და მხატვრულუც

სპორტულ და მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს პირველობები აჭარის დედაქალაქში გაიმართა.

რესპუბლიკის X სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე თბილისელ სპორტულ ტანმოვარჯიშეებს ტოლი არ დაუდგენ მასპინძლებმა (მეორე ადგილი ქალებში, მესამე — ბავშვებში) და ზუგდიდელმა (პირველი ადგილი ბავშვებში) სპორტსმენებმა.

ქალთა შორის უძლიერესნი იყვნენ თბილისელები: ოსტატებში — ნინა მარგინა (36,05 ქულა), ოსტატობის კანდიდატებში — შორენა გოგუაძე (36,55), პირველთაწიფოსნებში — ტატიანა ეტკო (72,9).

ოსტატ ვაჟთა შორის გაიმარჯვა ზუგდიდელმა დავით ქვარცხავამ (49,05), კანდიდატებში — თბილისელმა გიორგი კოსტანიანამ (52,0), პირველთაწიფოსნებში — ქუთაისელმა ილია გიორგაძემ (111,1), მეორეთაწიფოსნებში — ზუგდიდელმა დიმიტრი წითაშვილმა (11,35).

აღსანიშნავია, რომ თბილისელთა გუნდი, ფაქტურად, მოსწავლეთა სასპარტაკიადო ნაკრებს წარმოადგენდა (14-16 წლისანი). იგი მონაწილეობას მიიღებს მოსწავლეთა საკვიპრო სპარტაკიადზე, რომელიც გაიმართება 10-16 აგვისტოს, მინსკში. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ქართველმა სპორტსმენებმა (ილია ვაშაქიძე, ნიკოლოზ

ბარამიძე, გენადი სურმანიძე) იქ სამი მედალი მიიღეს უნდა მოიპოვონ.

მოსწავლეთა საკვიპრო სპარტაკიადის წინ, შეიძლება ითქვას, გენერალურ რეპრეზენტაციულ შეჯიბრებზე ზღვისპირა ქალაქში საქართველოს საუკეთესო მხატვრული ტანმოვარჯიშეები. მათ აქ რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა გაითამაშეს ორ — უმცროს (1977-1979 წლებში დაბადებულნი) და უფროს (1975-1977 წ.წ) ასაკობრივ ჯგუფში. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი გუნდური ადგილი, ტრადიციულად, თბილისელებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზე

მასპინძლები გავიდნენ, მესამეზე — რუსთაველები. სამწუხაროდ, სასპარეზოდ არ ჩამოვიდა აფხაზეთის გუნდი.

უმცროს ასაკში საუკეთესო იყო ბათუმელი ალიონა ივანოვა, უფროსებში კი — თბილისელი ეკა მებეგლი.

შეჯიბრების შემდეგ მწვრთნელთა საბჭომ დააკომპლექტა საკვიპრო სპარტაკიადის მონაწილეთა სავარაუდო ნაკრები: უმცროსი ასაკი — მია ცერცვაძე, ელენე მირიბაძე, ნინო წიკლაური, ალიონა ივანოვა და ქრისტინა ადამოვა, უფროსი ასაკი — ეკა დოლიძე, ბელა ჟილიაევა, ოქსანა როდონოვა.

საპარტიო რაგბის კავშირის

საღისპიკლინო კოიისიის სსიპი

გამართა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელისუფლებით კომისიის მორიგი სხდომა.

მეორე ჯგუფის (ვენტრალური ქვეჯგუფი) გუნდების შეხვედრის დროს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი „უქიმეირონი“ თბილისის „მერანს“ მასპინძლობდა. სტუმრებმა თავიდანვე ხელთ იდგეს ინიციატივა და წაიყვანეს კიდეც ანგარიში — 2:0. მე-60 წუთზე, ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯების მიერ დაფიქსირებული თამაშგარე მდგომარეობა სტადიონზე დამსწრე მცირერიცხოვანმა მაყურებელმა არასწორად ჩათვალა, შეიჭრა მიწოდრობა და ფიზიკური ანგარიშსწორება მოუწოდებდა მსაჯებს. მაყურებელს არც ქუთაისის გუნდის ფეხბურთელები „ჩამორჩნენ“. ისინი ძალდატანებით ითხოვდნენ, რომ გამართული იქნებოდა მათ სურდათ. შეხვედრის კომისარმა თ. ფანიაშვილმა მატჩის გაგრძელება შეუძლებლად ჩათვალა და იგი ჩაიშალა. საიდენტოლო კომისიის სხდომაზე, სადაც „უქიმეირონი“ გუნდის მწვერული და ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ, შეხვედრის კომისარმა და მსაჯმა მოითხოვეს იმ ფეხბურთელის გვარის დასახელება, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიიყენა გვერდით მსაჯს. ქუთაისელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა და მითამაშებმა ალიარეს, რომ ეს „სპორტსმენი“ ა. მელაძე იყო, რომელსაც კომისიამ 5 თამაშით გამოუტანა დისკვალიფიკაცია. ქუთაისელთა გუნდს კი წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა და, რაღა თქმა უნდა, დამარცხება ჩაეთვალა თბილისის „მერანს“ შეხვედრაში. მწვრთნელ ა. კვერანძეს გამოეცხადა სასტიკი საყვილეული. მსაჯის დარღვევის შემთხვევაში „უქიმეირონი“ საერთოდ მოიხსნება რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშებიდან.

ტყვარჩელის „ლაშინდარმა“ (II ჯგუფი, დასავლეთი ქვეჯგუფი), რომელიც ერთგული ჩემპიონატის მორიგ კალენდრულ შეხვედრას ატარებდა ჰიათურის „მშენებელთან“ (ეს მატჩი ფრედ — 1:1 დამთავრდა), საიდენტოლო კომისიის სახელზე შემოიტანა პროტესტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჰიათურის გუნდმა ამ მატჩში განუხლებელი მოთამაშეები გამოიყვანეს, კომისიამ შედგე გაუქმა და „მშენებელს“ — 0:3 წაგება ჩაუთვალა. რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის (I ჯგუფი) შეხვედრის დროს, როდესაც მეხუთის „არმაზი“ გურჯაანის „ალაზანს“ მასპინძლობდა, არასპორტული საქციელისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა მცხეთელი თ. გულბათაშვილი, რომელიც ორ მატჩს გამოტოვებს. ეს მოთამაშე დაჯარიმდა 300 მანეთით. საქართველოს თასის გათამაშების მატჩში ოზურგეთის „მერცხალი“ გურჯაანის „ალაზანს“ ხელეობდა, მსაჯის შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ლ. თეთრაული („ალაზანი“) და თ. თეთრაული („მერცხალი“), ორივე მოთამაშე თითო თამაშს გამოტოვებს და შესაბამისად 500 და 1000 მანეთ ჯარიმას გადაიხდის.

მსაჯის შეურაცხყოფისთვის 2 მატჩში ვერ მიიღებს მონაწილეობას ფიზიკულტურის ინსტიტუტის მოთამაშე მ. მელაძეც.

საქართველოს არაფეხბურთო მეთექვსმეტედივიანილი მატჩში ხონის „იმერეთი“ ქუთაისის „ქუთაისს“ მასპინძლობდა. შეხვედრის მსაჯმა შ. თამაშემა ჯერ გააფრთხილა, ხოლო შემდეგ მინდვრიდან დაატოვებინა ქუთაისელ გ. ნადირაძეს, რომელიც ერთ თამაშს გამოტოვებს.

მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის, წლებს მეორედ დაატოვებინეს მინდვრი თბილისის უნივერსიტეტის მოთამაშეს გ. ნატროშვილს, რომელიც სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებული, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მისი თანაგუნდელი მ. ივანეძე 3 თამაშს გამოტოვებს.

განუხლებელი მოთამაშე ჰყავდა თიანეთის „იორსაც“, რომელსაც წაგება ჩაეთვალა „მგლებთან“ (თბილისის სს) შეხვედრაში.

3 თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია ზუგდიდის რაიონის „დარჩევის“ მოთამაშეს მ. კორღლიას, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიიყენა არბიტრს.

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში ავგისტომდე შესვენებაა, ივლისში ჩასატარებელი დარჩა რამდენიმე გამოტოვებული მატჩი. დასვენების პერიოდში ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებს, სკამოდ ექნებათ იმის დრო, რომ გააანალიზონ I წრის შედეგები, მკვეთრად გააუფიქროსონ კლუბებში აღმზრდელი მუშაობა, რათა საგრძობლად შემცირდეს დარღვევები, რაც თამაშის კლასის ამაღლების უტყუარო გარანტია იქნება.

ფეხბურთი დღეს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გავრცელებული ყველაზე პოპულარული სპორტისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებშია. ეს ქვეყნები ეცილებიან მუდამ ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონობას. მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება ამ ქვეყნებს ხელს უწყობს: ამერიკაში ჩატარდა ექვსჯერ, ევროპაში შეიქმნა, (ბოლო ჩატარდა მერვედ), მსოფლიო ჩემპიონობა ფეხბურთში დღემდე მხოლოდ ექვსმა ქვეყანამ მოიპოვა, აქედან სამმა ევროპიდან და სამმა სამხრეთ ამერიკიდან, ევროპის 17 ქვეყნის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტი, სამხრეთ ამერიკიდან კი 9 გუნდი, ფინალების მიხედვით ჯერჯერობით წინ სამხრეთ ამერიკაა. ამერიკელებმა ხუთჯერ გამოსტაყვეს ევროპელებს პირველობა, ევროპის გუნდებმა კი ერთხელ სძლიეს სამხრეთ ამერიკელებს, ამერიკელებმა ევროპელებთან ფინალურ შეხვედრაში 18 ბურთი გაიტანეს და მიიღეს მხოლოდ 8.

ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა 24 ქვეყნის 66 ნდი. როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტი წარმომადგენელი ევროპას ჰყავდა (14), შემდეგ კი ამერიკას (6), ორ-ორი ქვეყნით იყო წარმოდგენილი ევროპის სხვა ქვეყნები.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

11 03.03.90ს ენევაში გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების გათამაშების პირველი ტაბის წილისყრა.

ჩემპიონთა თასი

- მეთექვსმეტედივიანილი „სპარტაკ“ (ჩხფრ) — „სპარტაკ“ (მოსკოვი, სსრკ)
- „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „გრასპოვერსი“ (შვეიცარია)
- „მარსელი“ (საფრანგეთი) — „დინამო“ (ტირანა, ალბანეთი)
- „ტიროლი“ (ავსტრია) — „კლუბ სიუი“ (ფინეთი)
- „ლილესტრემი“ (ნორვეგია) — „ბრიუგე“ (ბელგია)
- „ნაპოლი“ (იტალია) — „უბაშტ დოჟა“ (უნგრეთი)
- „მალმო“ (შვეცია) — „ბეშიქთაში“ (თურქეთი)
- „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სენტ-პატრიკი“ (ირლანდია)
- „უნიონი“ (ლუქსემბურგი) — „დინამო“ (დრეზდენი, გერმ.)
- „პორტო“ (პორტუგალია) — „პორტლანდუნი“ (ჩრ. ირლანდია)
- „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ოლდენსეი“ (დანია)
- „ლუბი“ (პოლონეთი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)
- „გლახო რეინერსი“ (შოტლანდია) — „ვალენსი“ (მალტა)
- „ბაიერნი“ (გფრ) — „აპოლო“ (კიპროსი)
- „აიუროვირი“ (ისლანდია) — „სტრეტი“ (ბულგარეთი)
- ჩემპიონთა თასის მფლობელი ჩემპიონი (იტალია) ასპარეზობაში ჩაერთვება მეორე ეტაპიდან.

თასების ფლობელთა თასი

- მეთექვსმეტედივიანილი „დინამო“ (კიევი, სსრკ) — „უბაშტ დოჟა“ (უნგრეთი)
- „ლუბი“ (პოლონეთი) — „ესპერანსი“ (ლუქსემბურგი)
- „ვიკინგი“ (ნორვეგია) — „ლიეჟი“ (ბელგია)
- „სლოვანი“ (ბულგარეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია)
- „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „უჩინი“ (უნგრეთი)
- „დინამო“ (შვეინი, გერმ.) — „აუსტრია“ (ავსტრია)
- „სტრეტი“ (ბულგარეთი) — „სლუკა“ (ჩხფრ)
- „სალამინა“ (კიპროსი) — „აბერდინი“ (შოტლანდია)
- „მონპელიე“ (საფრანგეთი) — „ეინდჰოვენი“ (პოლონია)
- „ოლიმპიკოსი“ (საბერძნეთი) — „ფლამურბარტი“ (ალბანეთი)

- „გლენტორანი“ (ჩრ. ირლანდია) — „სტიაუა“ (რუმინეთი)
- „რეჟისპეი“ (უელსი) — „ლინდბიუ“ (დანია)
- „სტრელო“ (პორტუგალია) — „ქსამაქსი“ (შვეიცარია)
- „ფრამი“ (ისლანდია) — „იურგორდენი“ (შვეცია)
- „კაიზერსლაუტერნი“ (გფრ) — „სამპდორია“ (იტალია)
- „ბრეი უონდერსი“ (ირლანდია) — „ტრანზონსპორი“ (თურქეთი)
- წყვილის გამარჯვებული შეხვედრა ესპანეთის „ბარსელონას“.

უფავს თასი

- ოცდამეორმეტედივიანილი „ჩერნომორცი“ (ოდესა, სსრკ) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია)
- „დენპარ“ (დენპარკოვო, სსრკ) — „პარტიზანი“ (შოტლანდია)
- გაის (შვეცია) — „ტორპედო“ (მოსკოვი, სსრკ)
- „ბრონდბიუ“ (დანია) — „ინტრაპტი“ (გფრ)
- „ვიტესი“ (პოლონია) — „დერი-სიტი“ (ირლანდია)
- ბეტ (უნგრეთი) — „ლიუცერნი“ (შვეიცარია)
- „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „მეკლენგი“ (ბელგია)
- „ლოზანა“ (შვეიცარია) — „რეალი“ (სოსიედადი, ესპანეთი)
- „აენერი“ (ლუქსემბურგი) — „ინტერი“ (ჩხფრ)
- „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) — „ჰემსიტი“ (გერმ.)
- „ნორჩეპინგი“ (შვეცია) — „კიოლინი“ (გფრ)
- „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „პანდინორდიტი“ (ისლანდია)
- „ანტვერპენი“ (ბელგია) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი)
- „ზაგლენგი“ (პოლონეთი) — „ბოლონია“ (იტალია)
- „გლენავინი“ (ჩრ. ირლანდია) — „ბორლო“ (საფრანგეთი)
- „ასტონ ვილა“ (ინგლისი) — „ბენიკი“ (ჩხფრ)
- „მადეზურგი“ (გერმ.) — „როვანიეში“ (ფინეთი)
- „ველი“ (დანია) — „ადმირა ვაიერი“ (ავსტრია)
- „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ტვენტი“ (პოლონია)
- „კატოვიცი“ (პოლონეთი) — „ტურენ პალოკურა“ (ფინეთი)
- „ჰერაკლისი“ (საბერძნეთი) — „ვალენსი“ (ესპანეთი)
- „ანდერლექტი“ (ბელგია) — „ბეტრულული“ (რუმინეთი)

1990-91 წლების გათამაშება

- „ატლანტიკ“ (იტალია) — „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია)
- „სლავია“ (ბულგარეთი) — „ომონია“ (კიპროსი)
- „რომა“ (იტალია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია)
- „როლა“ (პოლონია) — „მონაკო“ (საფრანგეთი)
- „სევილია“ (ესპანეთი) — პაოკ (საბერძნეთი)
- „პარტიზანი“ (ალბანეთი) — „უნივერსიტატი კრაიოვა“ (რუმინეთი)
- „პოლიტექნიკი“ (რუმინეთი) — „ატლანტიკი“ (მადრიდი, ესპანეთი)
- „რაბიდი“ (ავსტრია) — „ინტერი“ (იტალია)
- „ფენერბახე“ (თურქეთი) — „ვიტრონი“ (პორტუგალია)
- „პიბერინსი“ (მალტა) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია)

მატჩები ჩატარდება 18, 19 და 20 სექტემბერს წყვილებში პირველად ნაჩვენებ გუნდების მინდვრებზე. განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 1 და 4 ოქტომბერს. სსრკ კავშირის გუნდების მონაწილეობით მატჩები შედგება 19 სექტემბერსა და 3 ოქტომბერს.

ევროპის საფეხბურთო ასოციაცია კავშირის სტადიონზე ვადაწყვიტა ინგლისის კლუბების ევროპის საკლუბო თასების გათამაშებებში აღდგენის საკითხი. როგორც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა (შვეცია) გამოაცხადა, ინგლისის კლუბებს ნება დართეს მონაწილეობა მიიღონ თასების მფლობელთა თასისა და უფავს-ს თასის გათამაშებაში. ეს მოხდება წლის უკვე, თასების 1990-91 წლების გათამაშებაში. „მანჩესტერ იუნაიტედი“ გამოავს თასების თასზე, ხოლო „ასტონ ვილა“ — უფავს-ს თასზე. რაც შეეხება ჩემპიონთა თასს, ინგლისის ჩემპიონი „ლივერპული“ საცაგებოდ დისკვალიფიცირებულია 3 სეზონით, ამიტომაც იგი შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. შეგახსენებთ, ინგლისელმა ევროპის საკლუბო თასების გათამაშებაში მონაწილეობა აეკრძალათ იმის გამო, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში იტალიის „იუვენტუსთან“, რომელიც ბრიუსელის „იუველს“ სტადიონზე შედგა რამდენიმე წლის წინ, ინგლისელმა ბუნდოვანმა გულშემატკვრებმა სტადიონზე ატყეს დეზოში, რომელმაც 39 კაცის სიცოცხლე შეიწირა.

მეტი აპირბეკლებთან

როგორც ვიუწყებოდით, ჩვენს რესპუბლიკაში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფებიან ამერიკელი ჰაბუკი ფეხბურთელები (კონექტიკუტის შტატი). სტუმრებმა საქართველოში კიდევ ორი ამხანაგური მატჩი გამართეს. მცხეთაში შეხვედრენ ადგილობრივ სპორტსკოლის გუნდს, დამატული ორთაბრძოლა ფრედ — 2:2 დასრულდა. მეორე შეხვედრა გორში ჩატარდა და მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 5:3.

„ილანი“ — გორ?

იტალიის ცნობილი საფეხბურთო კლუბმა „მილანი“, რომელმაც შარშან ევროპის ჩემპიონთა თასი და საკონტინენტთაშორისი თასი მოიპოვა, სათამაშოდ გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები „მილანის“ ხელმძღვანელმა გამოაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ჰერმან ნობერგერს გაეგზავნა წერილი წინადადებით მოეწყო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ამ ორ გუნდს შორის. ამ მატჩის პროგნოზირება, როგორც უცხოეთის საავენტობე აღნიშნავენ, ძნელია, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონთა წინააღმდეგ გამოვა კუმილი, რომლის შემადგენლობაში ითამაშებს 3 ჰოლანდიელი და 4 იტალიელი ფეხბურთელი, რომლებიც სულ ახლახან თვითნებ ქვეყნების დირსებას იცადენ მსოფლიო ჩემპიონატში.

საინტერესოა ვიცოდეთ

ბურთი... ეს მრგვალი სათამაშო ნივთი ოდითგანვე ადამიანის სუვერენული გასართობია, იგი ახარებს და აღუვებს დიდსა და პატარას. დღეს ბურთის თამაშობათა უამრავი სახეები არსებობს, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული ფეხბურთია.

ფეხბურთს 127 წლის ისტორია აქვს. მის დასაწყისად მიჩნეულია 1863 წელი, როდესაც ინგლისში ჩამოყალიბდა ბურთის თამაშობათა ჩარი სახეობა — ფეხბურთი და რაგბი.

ფეხბურთი დღეს მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გავრცელებული ყველაზე პოპულარული სპორტისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებშია. ეს ქვეყნები ეცილებიან მუდამ ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონობას. მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება ამ ქვეყნებს ხელს უწყობს: ამერიკაში ჩატარდა ექვსჯერ, ევროპაში შეიქმნა, (ბოლო ჩატარდა მერვედ), მსოფლიო ჩემპიონობა ფეხბურთში დღემდე მხოლოდ ექვსმა ქვეყანამ მოიპოვა, აქედან სამმა ევროპიდან და სამმა სამხრეთ ამერიკიდან, ევროპის 17 ქვეყნის გუნდი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტი, სამხრეთ ამერიკიდან კი 9 გუნდი, ფინალების მიხედვით ჯერჯერობით წინ სამხრეთ ამერიკაა. ამერიკელებმა ხუთჯერ გამოსტაყვეს ევროპელებს პირველობა, ევროპის გუნდებმა კი ერთხელ სძლიეს სამხრეთ ამერიკელებს, ამერიკელებმა ევროპელებთან ფინალურ შეხვედრაში 18 ბურთი გაიტანეს და მიიღეს მხოლოდ 8.

როდგენილი აზია და აფრიკა. ამ 24 ქვეყანას შორის მოსახლეობით ყველას ადამატება საბჭოთა კავშირი.

მოსახლეობის მხრივ XIV მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნები ასე გამოიყურებიან:

საბჭოთა კავშირი	278 მილ. 8 ათასი
აშშ	244,4
ბრაზილია	141,4
სამხრეთ კორეა	98,4
გფრ	59
იტალია	57,4
ევრაპების არაბთა რესპუბლიკა	54
ესპანეთი	48,6
არგენტინა	32
კოლუმბია	28,8
იუგოსლავია	28,8
რუმინეთი	28,1
ჩეხოსლოვაკია	15,5
პოლონდია	14,7
კამერუნი	10,4
ბელგია	9,8
შვეცია	8,4
ავსტრია	7,8
შოტლანდია	5,1
ირლანდია	3,5
ურუგვაი	3
კოსტა-რიკა	2,6
არაბეთის გაერთიანებული საემიროები	1,6

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას უკავშირდება, რისგან წარმოდგება მსოფლიო XIV ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების სახელწოდებანი. **ავსტრია** — ძველგერმანულად ოსტრი რაიხ — აღმოსავლეთის სახელმწიფო (ოსტ — აღმოსავლეთი, რაიხ — სახელმწიფო). **არაბეთი** — არაბულად ალ-არაბ, — სტეპების ქვეყანა. **არგენტინა** — წინათ ერქვა ლა-პლატა (ვერცხლის ქვეყანა), ლაპლატა ესპანურად ნიშნავს ვერცხლს (ლათინურად არგენტუმ).

აშშ — ამერიკის სახელი დაკავშირებულია ფლორენციელ მეზღვაურ ამერიგო ვესპუტთან, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ქვეყნის შესწავლა-გამოკვლევაში.

ბელგია — კელტების ტომ ბელგებისაგან.

ბრაზილია — დაკავშირებულია ძვირფასი საღებავი ხის „პაუბრაზილითან“, რომელიც ბრაზილიიდან გააქონდათ პორტუგალიელებს. **გერმანია** — ლიტვურად გერმე — ტყის ნიშნავს, მან — კაცს, ე. ი. ტყის კაცი (ადამიანი). გერმანელები თავის თავს უწოდებენ დოიჩს, ფრანგები ალემანებს, სლავები ნემცებს (რუსული ნემო-მუნჯი), რადგანაც ისინი ლაპარაკობენ სლავურსაფრთხე გაუგებარ ენაზე.

ევრაპები — ფინიკურად კაპტო — კუნძული. მემფისი (სადაც იყო მთავარი დერეთი პტა) უწოდებდნენ აიგაპტს. ეს სახელი ბერძნებმა გადააქეთეს და უწოდეს ეიგუპტოს.

ესპანეთი — სახელწოდება პირველად მოიხსენიება ძველ-რომელთა წერილობით წყაროებში. **ინგლისი** — ინგლანდ, ე. ი. ან-გლუბის ქვეყანა. **ბრიტანეთი** — კელტების ტომ ბრიტებიდან. **ირლანდია** — ადგილობრივად ერინი, ე. ი. დასავლეთი. ინგლისელებმა უწოდეს ირლანდი, ე. ი. ირებთ ქვეყანა. **იტალია** — სახელწოდება წარმოიშვა ძველ ტომ იტალებისაგან. **იუგოსლავია** — რუსულად სამხრეთ სლავეთი. **კამერუნი** — რით დოს კამაროს — ნიშნავს კიბორჩხალების მდიანარეს. **კოლუმბია** — უკავშირდება ქრისტეფორე კოლუმბის სახელს. **კორეა** — კორეულთა ენაზე ჩო-სონ-სარამ, ე. ი. დილის სიგრილის

ქვეყანა. სახელწოდება წარმოიშვა მეფეთა ლინისტის კორეის სახელიდან (იაპონურად კორაი).

კოსტა-რიკა — ესპანურად მდიდარი ნაპირი.

რუმინეთი — რუმინულად რომანია, რომანების (რომინების) ქვეყანა.

ურუგვაი — ინდოელთა ენაზე ურუ — ფრინველი (გარეული), გუაი — ქული, ბოლო, ე. ი. ფრინველის ბოლო.

შვეცია — ხალხის, სვენების სახელიდან.

შოტლანდია — ინგლისურად სკოტლანდი (ეჭვ მცხოვრები კელტების ტომი). სკოტ — კელტურად ნიშნავს მოთამაშრობას, მოთამაშრობა ქვეყანას.

ჩეხეთი — ტომ ჩეხებიდან. თვით სახელწოდება ნიშნავს ყველაზე წინ მყოფს, მოწინავეს.

პოლონდია (ნიდერლანდი) — გერმანულად ტყეანი ქვეყანა.

ესპანეთში, არგენტინაში, ურუგვაიში, კოლუმბიასა და კოსტა-რიკაში ოფიციალური ენაა ესპანური, ბრაზილიაში კი — პორტუგალიური.

შვეციაში ადგილობრივი მოსახლეობა 96%-ია; ბრაზილიაში — 95%, გერმანიაში 94%, იტალიაში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში 90%, რუმინეთში 88%, არგენტინასა და კოსტა-რიკაში 80%.

სულიკო ნეცოვიკი

პრეტენდენტები

როგორც ცნობილი გახდა, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ წინადადება წამოაყენა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ამ ქვეყანაში ჩატარდეს, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის კავშირის მიერ დადგინდა, რომ ასეთივე სურვილებით ფიფას მიმართონ ბრაზილიამ და მაროკომ.

დასაბამი...

თანამედროვე პროფესიული სპორტი მრავალ ისეთ ფაქტორს მოიცავს, რომელთა გათვალისწინებულად მსოფლიო მასშტაბის წარმატებებზე (რეკორდებზე რომ არაფერი უთქვამთ) ფაქტორი კი უდრეკია. ხვალ თუ ზეგ ქართული სპორტი დამოუკიდებლად ჩაებმება მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში და ბუნებრივად, გვაწუხებს კითხვა, ხომ არ დაიხრდილება იგი მსოფლიო ვარსკვლავთა თვალისმომხრე სი-სეში?

დაიან, კითხვა არსებობს და, საფუძვლიანიც. სწორედ ამ კითხვის ნაწილობრივი ამოხსნა დაიხსნა მიხნად საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციამ, რომელიც ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღეს ითვლებს. სპორტული ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, არ ახალია, საერთოდ მის გარეშე წარმოუდგენელია დიდი სპორტი. არადა საქართველოში ამ დარგის სპეციალისტები თითოეულ ჩამოსათვლელნი არიან. ერთ-ერთი მათგანი ასოციაციის პრეზიდენტი, ფსიქოლოგის ინსტიტუტის სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე ამირან გრიგოლავა ვახალოა, რომელიც თითქმის სია ქვეზე ავირებს სასახლის აშენებას. „ნიჭიერი, პრინციპული, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა და, რაც მთავარია, თავისი საქმის ერთგული და მოსიყვარული“ — ასე დაახასიათა ბატონი ამირანი ამ ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა შოთა ნადრაშვილმა.

ახლა თავად პრეზიდენტს მოვესმინოთ:

— სპორტის ფსიქოლოგთა ასოციაციის შექმნა სპორტული ცხოვრებიდან გამომდინარე ობიექტურად პირობებში განაპირობა. სპორტის ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერული მოძღვრება, საქმოდ დაბალ დონეზეა საქართველოში, არადა, მის გარეშე თანამედროვე სპორტში ძალიან შეინარჩუნე „კონკურენტუნარიანობა“. რასაკვირველია, არის ბედნიერი გამოცდილებები — მსოფლიო რანგის მიღწევები, მაგრამ ცალკეულ სპორტსმენთა იმედზე ყოფნა არ შეიძლება.

საქართველოში სპორტის ფსიქოლოგიის საფუძველი ცნობილმა მეცნიერმა ვლადიმერ ნორაკიძემ ჩაუყარა, მაგრამ არ არსებობს სპორტის ფსიქოლოგიის თეორიული კონცეფცია, რომელზე დაფუძნებითაც წარგმართავდით ჩვენს მუშაობას. ასოციაციის უპირველესი მიზანი სწორედ ამ კონცეფციის ჩამოყალიბებაა. ჯერჯერობით, მხოლოდ ფიზიკურების ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე არსებობს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელშიც 15 ახალგაზრდა გაერთიანებულია. აქ მუშაობდა სპეციალდ სეროიშვილი მრომები, ამ ლაბორატორიასაც გავუწვეთ ხელმძღვანელობას, რათა დაავაკალიანთ მომავალი სპეციალისტები.

როგორი იქნება ასოციაციის კონკრეტული საქმიანობა?
— ასოციაციასთან შეიქმნება

ფსიქოპროფილაქტიკის, ფსიქოლოგიის და ფსიქოკორექციის სექციები, რომლებიც მოემსახურება ბავშვთა, მოზარდთა და სტუდენტთა სპორტს. წამყვანი სპეციალისტები იმუშავენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებთან. ექვი არ გვეპარება, რომ ფსიქოლოგიური მომზადება დადებითად აისახება სპორტულ შედეგში. ჩვენი სამომავლო მიზანია, შევისწავლოთ დიდი სპორტიდან წასული სპორტსმენის ცხოვრებასთან, უცხო ყოფასთან შეგუების თავისებურებანი. ახლახან შეიქმნა ვეტერან ფეხბურთელთა ასოციაცია. ეს ფაქტიც მოწმობს, რომ ამგვარი პრობლემა არსებობს და აუცილებელია მისი გადაჭრა, რაც შეიძლება მალე, რათა ვეტერან სპორტსმენს არ გაუქირდეს ცხოვრების ხელახალი დაწყება.

მაგრამ, ალბათ, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ყველაფერი მხოლოდ ქაღალდ იქნება, თუ საკუთარი ნაკუში ჩაიკეტებით, თუ არ ვიზრუნეთ ფართო კონტაქტებზე როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში, არაფერი გამოვა. რაც შეიძლება მალე უნდა გავწვირდეთ სპორტის ფსიქოლოგთა საერთაშორისო — ევროპისა და მსოფლიო ასოციაციებში, საკონსულტაციოდ უნდა მოვიწვიოთ ცნობილი უცხოელი სპეციალისტები, ხოლო ქართველმა სტუდენტებმა და ახალგაზრდა სპეციალისტებმა ევროპის სამეცნიერო კონგრესებში აიმალონ კვალიფიკაცია, ჩვენს რესპუბლიკაში სისტემატურად უნდა ჩატარდეს სამეცნიერო სიმპოზიუმები, კონფერენციები, სემინარები, ხოლო ამგვარ „ფორუმებზე“, უცხოეთში ქართველი მეცნიერები უნდა მივაგვიწვიოთ.

გადაწყვეტილი გვაქვს ვითანამშრომლოთ საქართველოს სპორტ-

სახკომთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, სხვადასხვა სპორტულ ფედერაციასთან, რაც შეეხება ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა და ფიზიკულტურის ინსტიტუტს, მათი ხელმძღვანელობა დიდ დახმარებას და ხელის შეწყობას გვიპირდება. გადაწყვეტილია, ფიზიკულტურის ინსტიტუტში შეიქმნას ფსიქოლოგიის მეორადი ფაკულტეტი.

და ეს ყველაფერი „შეშველი ხელით“ უნდა გაკეთდეს?
— თავდაპირველად გავვიკირდება, არა გვაქვს ბინა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსები, განვიცდით კადრების დეფიციტს, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდება, როგორც მოგახსენეთ შემომართვლილი დაწესებულებები დიდ დახმარებას გვიპირდებიან.

საკავშირო სპორტის ფსიქოლოგთა ფედერაციასთან რა კავშირი გექნებათ?

— საკავშირო სპორტის ფსიქოლოგთა ფედერაციაში ახლახან სრული რეორგანიზაცია მოხდა. ახლმა ხელმძღვანელობამ გამოგვიგზავნა ოფიციალური მიწვევა, რათა ჩვესულიყავით, მონაწილეობა მიგველო მათ მუშაობაში და გავწვირებოთ მათ საკავშირო ფედერაციაში, მაგრამ უარი განაცხადეთ. დამოუკიდებელი, შეუბოჭავი ასოციაციის საქმიანობა გამარჯვების საწინდარია. ისე, თანასწორულფლებიანობის პრინციპზე აგებული ურთიერთთანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება.

ისლა დაგვრჩენია, გზა დაველოცოთ „ახალგაზრდა“ ასოციაციას და ვუსურვოთ მყარად მოკიდებინოს ფეხი ამ მეცნიერების გაუკვლავ ბილიკებზე.

ლევან ჯაპახიშვილი



ჩვენი სპორტის ერთგულ მხახურთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს ფიზიკულტურისა და სპორტის და მხახურებულთა მუშაკი გიორგი იახონის მე პავლიაშვილი.

დაიბადა 1928 წელს, თბილისში. სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს წითელ არმიას. სპორტი პატარაობიდანვე იზიდავდა და არ მიაშო სამხახურის წლებშიც მისხლევდა რამდენიმე სახეობას — იყო პირველთანრიგისანი ფეხბურთელი, მოკრივე, მოცურავე და ტანმოვარჯიში.

1948 წელს დაამთავრა ბუნებახის სამხედრო სასწავლებელი უმცროსი ლეიტენანტის წოდებით, მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში. წითელდროშის ფიზიკულტურისა და სპორტის სამხედრო ინსტიტუტი დაამთავრა 1950 წელს, მხახურობა დივიზიის ფიზმომზადების უფროსად. დემობილიზაციის შემდეგ დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის თავმჯდომარედ, მერე იყო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ფიზიკულტურის სახლის დირექტორი, ხოლო 1957 წლიდან 1987 წლამდე დედაქალაქის სპორტკომიტეტის სპორტსაგებობათა თავმჯდომარის მოადგილედ ექსპლუატაციისა და სამუშაო დარგში.

1987 წლიდან პერსონალური პენსიონარია. იმისა და შრომის ვეტერანი გ. პავლიაშვილი დაქოლოლებული იყო სახარბოლო ორდენითა და მედლებით, აგრეთვე, „წარჩინებული ფიზიკულტურელის“ ნიშნით.

სპორტის თავდადებული მუშაკი თანამშრომელთა და მეგობართა შორის გულისხმიერებთა და ადამიანური ურთიერთობთა გამოჩინოა. ამიტომაც დიდხანს დარჩება მისი ხსოვნა.

სამართავლმს სპორტსახკომი, თბილისის სპორტკომიტეტი.

გეოგრაფია

საქართველო

საქართველო



ფრანგულმა სპორტულმა გამოცემაში — „ეკიპ მენეჟმან“ მოაწყო საინტერესო კონკურსი. მონაწილეებს პასუხი უნდა გაცეთ ერთადერთ კითხვაზე: ვინ არის მეოცე საუკუნის საუკეთესო ჩოგბურთელი? ხმათა უმრავლესობით პდრეკული ადგილი და „მისტერ მეოცე საუკუნის“ სახელი დაიმსახურა შეედმა ჩოგბურთელმა ბიორნ ბორგმა. აა როგორ გამოიყურება ამ კონკურსის ათეული?

1. ბიორნ ბორგი (შვეიცია) — 888
2. რიოდ ლეივერი (ავსტრალია) — 856
3. ჯონ მაკინროუ (აშშ) — 114
4. დონ ბაჯი (აშშ) — 104
5. ჯიმი კონორისი (აშშ) — 105
6. კენ როზოლი (ავსტრალია) — 102
7. ბილ ტილდენი (აშშ) — 86
8. ჯეკ კრეშერი (აშშ) — 81
9. ვან ბორტრა (ხაფრანგეთი) — 69
10. ანრი კოზე (ხაფრანგეთი) — 58

სულ დასახლებული იყო 35 ჩოგბურთელი. დღეს მოქმედ სპორტსმენთაგან ივან ლენდლს (ჩეხოსლოვაკია) მხოლოდ მეოთქმეტე ადგილი ერგო, ბორის ბეკერს (გერ) კი — მეოთხამეტე.

კიუორი გამოავლინა აგრეთვე „ჩემპიონები“ თამაშის სხვადასხვა კომპონენტში. ესენი არიან: მაკინროუ (მოწოდებებში), ლენდლი (მარჯვნიდან თამაშში), როზოლი (მარცხნიდან თამაშში), ბორგი, (უკანა ხაზზე თამაშში) და ისევ მაკინროუ (ბადესთან თამაშში).

გზა-90

გთავაზობთ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) 1989-90 წლის ჩემპიონატის პლეი-ოფის ნახევარფინალური და ფინალური მატჩების შედეგებს.

ნახევარფინალური მატჩები: (ამავე დროს ეს არის დასავლეთის და აღმოსავლეთის კონფედერაციების ფინალი), აღმოსავლეთის კონფედ-

ორი კურდღლის მღვპარი

— **ამერიკის** კალათბურთელთა ნაკრები კეთილი ნების თამაშებზე არ იქნება ისეთი „მალაო“, როგორც საბჭოთა კავშირის ან ეუგოსლავიის გუნდები, — თქვა მწვრთნელმა მიკე კშიზევიკიმ, — ჩვენი მოთავარი „კოზირი“ სისწრაფვა და, ვფიქრობ, გადამწყვეტ სიტყვას სწორედ ეს თვისება იტყვის. კშიზევიკი სტუდენტთა კლათბურთის ერთ-ერთი ავტორიტეტული სპეციალისტია. ადრე იგი ქალაქ დიუქის უნივერსიტეტის გუნდთან მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტი კალათბურთელები ბოლო ხუთი წლის მანძილზე ოთხჯერ იბრბოდნენ ნახევარფინალში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ძალიან შედეგებს სტაბილურად აჩვენებენ. დიუქის უნივერსიტეტის გუნდს კშიზევიკი ათ წელიწადის ხელმძღვანელობდა, ამ ხნის განმავლობაში მისმა კოლექტივმა 231 გამარჯვება მოიპოვა და 101 მარცხი განიცადა, რაც სტუდენტური კალათბურთისთვის საუკეთესო მაჩვენებელია წარმოადგენს. კშიზევიკის ახლახან ნაბ-ს პროფე-

სიული ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის „ბოსტონ სელტიკის“ მწვრთნელობა შესთავაზეს. თუკი გარაგება შედგა, მწვრთნელი 2,5 მილიონიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ჯერჯერობით კი იგი მოყვარულ კალათბურთელებთან მუშაობს. მისი ნაკრები ერთაშორი ორი მსხვილი ტურნირისათვის ემზადება. ერთ-ერთი გახლავთ კეთილი ნების თამაშები, მეორე კი — არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც სიეტლის თამაშებს მოჰყვება (8-19 აგვისტო).

კშიზევიკიმ ურნალისტებს განუცხადა, რომ ნაკრების კანდიდატთა სიაში არც ერთი პროფესიული კალათბურთელი არ მისხვია. ხუთი მოთამაშე მან სტუდენტთა წლევეანდელ ნახევარფინალურ ტურნირში მოასპარეზე გუნდებიდან აიყვანა. ორი მათგანი — ცენტრალური თავდასხმელი კრიტის ლენტერი და მცველი ბობი პარლეა — დიუქის უნივერსიტეტის სტუდენტია, კენ ანდერსონი ჯორ-

ჯის შტატის ტექნიკური უნივერსიტეტის ლირსებას იცავს. ტრედ აზია და ლი მეიბერი არკანსასის უნივერსიტეტში მიავლინა ნაკრებში, ალონსო მოურინი — ჯორჯტაუნის უნივერსიტეტიდანაა, და სიმით — მისურიდან, ბილი ოუენსი კი — სირაკუზიდან.

თექვსმეტმა კანდიდატმა უკვე გაიარა საწვრთნელი შეკრება ქალაქ დიუქში. ამჟამად ნაკრები ორგეონის ქალაქ პორტლენდში იმყოფება, იქიდან კი სიეტლს გაემგზავრება, სადაც 23 ივლისს თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პირველი მატჩი გაიმართება.

კეთილი ნების თამაშებში გუნდი 15 კალათბურთელით უნდა იყოს დაკომპლექტებული. მწვრთნელის აზრით, ამით მას გაუადვილდება მსოფლიო ჩემპიონატის თორმეტი მონაწილის შერჩევა. ამასი დაეხმარება საბჭოთა ნაკრებთან ამხანაგური მატჩიც, რომლის ჩატარება 4 აგვისტოს ატლანტაშია ნავარაუდები.

კალენდრისთვის

სასამართლოს მეორე ინსტანცია, რომელმაც განიხილა 1985 წელს „ეიზელის“ სტალიონზე „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ ფეხბურთელთა მატჩის დროს მომხდარი ტრაგედიის მიზეზები (მაშინ, გასოვით ალბათ, დაილუპა 39 მაყურებელი) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებობს კი-

რაცია: „დეტროიტ პისტონსი“ — „ჩიკაგო ბულსი“ — 4:3 (86:77, 102:93, 102:107, 101:108, 97:83, 91:109, 93:74), დასავლეთის კონფედერაცია: „პორტლენდ თრილ ბლეიზი“ — „ფინიქს სანზი“ — 4:2 (100:98, 108:107, 89:123, 107:119, 120:114, 112:109).

ფინალი: „დეტროიტ პისტონსი“ — „პორტლენდ თრილ ბლეიზი“ — 4:1 (105:99, 105:106, 121:106, 112:109, 92:92).

დევ ერთი დამნაშავე, რომელსაც აქამდე არავინ აქცევდა ყურადღებას — ეს გახლავთ უეფა (ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი). სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს გარკვეული ნაწილი იმ 14 მილიონი ფრანკიდან, რომელიც დაღუპულ ოჯახთა კომპენსაციისთვის არის განკუთვნილი.

გეგმვის ფედერაციული რესპუბლიკის კრივის ფედერაციის განზრახული აქვს ჩაატაროს მსოფლიოს 1993 წლის ჩემპიონატი. შეჯამრება, რომელიც, ჩვეულებებისამებრ, 10 დღეს მიმდინარეობს, გაიმართება დასავლეთ ბერლინის „ლოიჩანდ-პალეში“. ამ ჩემპიონატის მოწყობის სურვილი გამოთქვეს, აგრეთვე, მონრეალმა (კანადა) და პავანამ (კუბა).

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა შორის, 1994 წლის ჩემპიონატი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება. ამერიკელებმა გულმოდგინედ შეისწავლეს მეთოთხმეტე ჩემპიონატის ორგანი-

ზატორთა გამოცდილება და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამერიკის ქალაქებში ძალზე ძნელი იქნება „შორალი კანონის“ რეჟიმის გატარება.

საცივარაო მრავალკიდში მსოფლიოს 1993 წლის ჩემპიონატის ჩატარების უფლება, ამ სპორტის საერთაშორისო კავშირის გადაწყვეტილებით, გდრ-ს გადაეცა. საერთაშორისო კავშირი ვარაუდობს, რომ საქმეს სათავეში ჩაუდგება ორი გერმანიის გაერთიანებული ფედერაცია, რომელიც ახლა საკმაო ძალას წარმოადგენს და სერთაშორისო სპორტში გარკვეული ავტორიტეტიცაა სარგებლობს.

სოფიაში, ბულგარეთის ფიზიკულტურისა და სპორტის კავშირის მიწვევით სტუმრად იმყოფებოდა იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია, ტექნიკური თანამშრომლობის განყოფილების დირექტორის ტული პარატრეს მეთაურობით. შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს

შეთანხმებას ორი ქვეყნის სპორტული ორგანიზაციის კონტაქტებზე. შეთანხმებაში ცალკე პუნქტებშია შეტანილი სპეციალისტთა და ინფორმაციის გაცვლა, საწვრთნელი ბანაკებისა და სხვადასხვა სახის სემინარების მოწყობა.

რედაქტორი

მ. ბაჩაილიაძე

სპ.ს. სტალინი (ბოკორის ქ. №18)

ფეხბურთი

18 03 2010

სამართავლმს ეროვნული ჩემპიონატი

(II ლიგა, აღმოსავლეთის ქვეჯგუფი)

„მრამბები“ (თბილისი) — „ნაზარაული“ (ნაფარული) დისაწყისი 18 საათზე.

„ლელის“ ლევეანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩიხიშვილი. კორექტორები მ. ძეძაძე და ე. ხომერიკი.

ჩემპიონატის წყაროების განყოფილება — 98-97-55, ხაზდელი — 98-97-53, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54, „მერანი“ — 98-97-28, „მანთვე“ — 98-97-27.

88950 064336: 88485

საქართველოს კ. ც. -ის გამოცემის შრომის წითელი დროის ორდენისა სტამბა. 220096, თბილისი, მ. კობახიას ქ. 14, ახლებზე იუნტური წიხია ხეაზეთი კიანუხი: ხომარაულის, 29.

ხელნაწერა ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779